სიღარიბის და უთანასწორობის მაჩვენებლები

სტატისტიკის ეროვნული სამსახური სიღარიბის და უთანასწორობის მაჩვენებლების გასაანგარიშებლად ხელმძღვანელობს მსოფლიო ბანკის მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიით. მონაცემთა წყაროს წარმოადგენს შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა (შინამეურნეობებზე დაკვირვება - „შინდა“). გამოკვლევაში, ქვეყნის მასშტაბით, ყოველკვარტალურად დაახლოებით 4 300 შინამეურნეობა მონაწილეობს, რომლის ფარგლებშიც გროვდება მონაცემები შინამეურნეობების შემოსავლების, ხარჯების და შინამეურნეობების სხვადასხვა მახასიათებლების შესახებ. შინამეურნეობების გამოკითხვა ხორციელდება 2-(2)-2 როტაციული სქემის მიხედვით, რაც ნიშნავს, რომ შერჩეულ მისამართზე მცხოვრებ შინამეურნეობაში გამოკითხვა ტარდება ზედიზედ ორი კვარტლის განმავლობაში, ხოლო შემდეგი 2 ინტერვიუ ტარდება ორი კვარტლის გამოტოვებით, მომდევნო წლის იმავე კვარტალებში. ყოველკვარტალურად ახლად შერჩეული შინამეურნეობების წილი შეადგენს 1/4-ს. გამოკვლევას ექვემდებარებიან კერძო შინამეურნეობები.

აბსოლუტური სიღარიბე

(სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობა)

სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი წარმოადგენს ღარიბი მოსახლეობის პროცენტულ წილს მთლიან მოსახლეობაში. გამოყენებული მეთოდოლოგიის მიხედვით სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფ მოსახლეობად განიხილება იმ შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობა, რომელთა ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე გაანგარიშებული სამომხმარებლო ხარჯი ნაკლებია სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარზე. აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება როგორც ფულადი, ისე არაფულადი სამომხმარებლო ხარჯები.

შინამეურნეობების ფულადი სამომხმარებლო ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია გროვდება გამოკვლევის საფუძველზე.

შინამეურნეობების არაფულადი სამომხმარებლო ხარჯების ღირებულების შეფასებისათვის საჭიროა განისაზღვროს თითოეული მოხმარებული პროდუქტის ფასი. ამისათვის თითოეული შინამეურნეობისათვის გაიანგარიშება მის მიერ შეძენილი თითოეული სასურსათო პროდუქტის საშუალო ფასი - გადახდილი თანხის თანაფარდობით შეძენილი პროდუქტის მოცულობასათნ. მიღებული მონაცემების საფუძველზე თითოეული სასურსათო პროდუქტისათვის გაიანგარიშება შეწონილი მედიანური ფასი ქვეყნისა და რეგიონების დონეზე. შინამეურნეობების არაფულადი სასურსათო მოხმარების ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება შესაბამისი პროდუქტების შეწონილი მედიანური ფასები. შედეგად თითოეული შინამეურნეობისთვის მიიღება არაფულადი სამომხმარებლო ხარჯი.

მთლიანი სამოხმარებლო ხარჯების გაანგარიშება ხდება შინამეურნეობების ფულადი და არაფულადი ხარჯების დაჯამებით. გამომდინარე იქედან, რომ ზოგიერთი არასასურსათო ხარჯი არ ასახავს შინამეურნეობის ცხოვრების დონეს, მსფოლიო ბანკის რეკომენდაციით ხორციელდება ასეთი ხარჯების გამორიცხვა არასასურსათო ხარჯებიდან. გამოირიცხება შემდეგი კატეგორიები: რიტუალებზე გაწეული დანახარჯები, ტრანსპორტირებაზე გაწეული ხარჯები სოფლის მეურნეობაში, ხარჯები ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე, ხარჯები სამედიცინო მომსახურებაზე (გარდა ხარჯებისა სამედიცინო პრეპარატებსა და მედიკამენტებზე), დაქირავებულ საცხოვრისსა და სხვა დაქირავებულ ქონებაზე გაწეული ხარჯები, ასევე უფასოდ მიღებული სამედიცინო დაზღვევის შესაბამისი ხარჯები.

რეგიონული და დროითი დეფლატორი - საანგარიშო წლის განმავლობაში სხვადასხვა პროდუქტსა და მომსახურებაზე სხვადასხვა რეგიონში ფასები განსხვავებულია. შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით, თითოეული რეგიონისათვის გაიანგარიშება რეგიონული დეფლატორი, რომელიც ასახავს კონკრეტულ რეგიონში რამდენჯერ ძვირი თუ იაფია მოხმარებული პროდუქციის ჯამური ღირებულება, ქვეყნის მედიანური ფასებით გაანგარიშებულთან შედარებით. გარდა ამისა, საანგარიშო წლის განმავლობაში სხვადასხვა პროდუქტსა და მომსახურებაზე ფასები განიცდის გარკვეულ ცვლილებას, რის გამოც შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯების დეფლირება ხდება იანვრის თვესთან მიმართებაში. აღნიშნული ორი დეფლატორების გამოყენებით მიიღება შინამეურნეობის კორექტირებული სამომხმარებლო ხარჯები.

შინამეურნეობაში ექვივალენტური მოზრდილების რაოდენობა თანაცხოვრების ეფექტის გათვალისწინებით - შინამეურნეობის კეთილდღეობის დონის შესაფასებლად, გარდა მისი დანახარჯების შეფასებისა, აუცილებელია გავითვალისწინოთ შინამეურნეობის ზომა და შემადგენლობა, რადგან სქესის და ასაკის მიხედვით ადამიანების საჭიროებები განსხვავებულია. ექვივალენტური მოზრდილების რაოდენობის გაანგარიშება ხდება შინამეურნეობის წევრი პირების შესაბამისი დადგენილი კოეფიციენტების შეჯამებით. გარდა ამისა, ვინაიდან რამდენიმე ადამიანის ერთად ცხოვრება განაპირობებს გარკვეული ხარჯების ეკონომიას (მაგალითად ორსულიანი შინამეურნეობის კომუნალური ხარჯები ორჯერ არ აღემატება ერთსულიანი შინამეურნეობის ხარჯს), აუცილებელია თანაცხოვრების ეფექტის გათვალისწინება. გამოყენებული მეთოდოლოგის მიხედვით შინამეურნეობის ექვივალენტური მოზრდილების რაოდენობა კორექტირდება თანაცხოვრების დადგენილი მაჩვენებლის გამოყენებით.

სამომხმარებლო ხარჯები ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე - წარმოადგენს კორექტირებული სამომხმარებლო ხარჯების თანაფარდობას შინამეურნეობაში ექვივალენტური მოზრდილების კორექტირებულ რაოდენობასთან.

სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი - წარმოადგენს იმ შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობის პროცენტულ წილს მთლიან მოსახლეობაში, რომელთა ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე გაანგარიშებული სამომხმარებლო ხარჯი ნაკლებია სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარზე.

სიღარიბის აბსოლუტური ზღვარი - სიღარიბის აბსოლუტური ზღვრის სასურსათო მდგენელის განსასაზღვრად, II-IV დეცილებში მყოფი თითოეული შინამეურნეობისათვის გაიანგარიშება ერთი მოხმარებული კილოკალორიის ფასი, რომელიც წარმოადგენს მოხმარებული სასურსათო პროდუქტების ჯამური ფულადი ღირებულების და ენერგეტიკული ღირებულების თანაფარდობას. სასურსათო მდგენელის მისაღებად ერთი კილოკალორიის მედიანური ფასი მრავლდება ექვივალენტური მოზრდილის ენერგეტიკული ღირებულების დღიურ ნორმაზე.

სიღარიბის აბსოლუტური ზღვრის სასურსათო მდგენელის წილის განსაზღვრა ხდება II-IV დეცილებში არსებულ იმ შინამეურნეობებში, რომელთა ექვივალენტურ მოზრდილზე

სასურსათო ხარჯი ახლოს არის ზღვრის სასურსათო მდგენელთან. სასურსათო მდგენელის თანაფარდობით მის წილთან მიიღება სიღარიბის აბსოლუტური ზღვარი.

ფარდობითი სიღარიბე (მედიანური მოხმარების 40 და 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი)

მედიანური მოხმარების 40 (60) პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი წარმოადგენს იმ შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობის წილს მთლიან მოსახლეობაში, რომელთა ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე გაანგარიშებული სამომხმარებლო ხარჯი ნაკლებია მედიანური სამომხმარებლო ხარჯის 40 (60) პროცენტზე.

მედიანური მოხმარების 40 (60) პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი გაიანგარიშება შემდეგნაირად: ფულადი და არაფულადი სამომხმარებლო ხარჯების შეჯამებით მიიღება მთლიანი სამომხმარებლო ხარჯები. შემდგომ ეტაპზე გაიანგარიშება მთლიანი სამომხმარებლო ხარჯები ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე, თანაცხოვრების ეფექტის გათვალისწინებით. მიღებული მონაცემების საფუძველზე გაიანგარიშება შეწონილი მედიანური სამომხმარებლო ხარჯის 40 (60) პროცენტი, რომელიც წარმოადგენს ფარდობითი სიღარიბის ზღვარს. საბოლოოდ გაიანგარიშება იმ შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული წილი, რომელთა სამომხმარებლო ხარჯები ერთი ექვივალენტური მოზრდილისთვის ნაკლებია შესაბამის ფარდობით ზღვარზე.

ჯინის კოეფიციენტები

ჯინის კოეფიციენტი (ინდექსი) ფართოდ გამოიყენება სტატისტიკაში სოციალური უთანასწორობის, კერძოდ მოსახლეობის შემოსავლების და ხარჯების უთანაბრობის საზომად. ჯინის კოეფიციენტი 0-დან 1-ის ჩათვლით მნიშვნელობას იღებს. რაც უფრო ახლოსაა 0-თან მისი მნიშვნელობა, მით ნაკლებია უთანაბრობა, ხოლო რაც უფრო ახლოსაა 1-თან, მით უფრო დიდია უთანაბრობა. მაგალითად, თუ ყველას მეტ-ნაკლებად ერთი და იგივე შემოსავალი აქვს, ჯინის კოეფიციენტი იქნება 0-თან ახლოს, ხოლო როდესაც მოსახლეობაში ბევრია დაბალი

შემოსავლის მქონე და ცოტაა ძალიან მაღალი შემოსავლის მქონე მოსახლეობა, ჯინის კოეფიციენტის მნიშვნელობა მიუახლოვდება 1-ს.

ჯინის კოეფიციენტი განისაზღვრება ლორენცის მრუდის საფუძველზე. ლორენცის მრუდი გვიჩვენებს დამოკიდებულებას მოსახლეობის კუმულატიურ ფარდობით რაოდენობასა (X ღერძი) და ფარდობით კუმულატიურ შემოსავლებს (Y ღერძი) შორის.



ლორენცის მრუდის საფუძველზე ჯინის კოეფიციენტი გაიანგარიშება შემდეგნაირად:

$$G = \frac{A}{A+B}$$

სადაც, G წარმოადგენს ჯინის კოეფიციენტს, A წარმოადგენს ფართობს ლორენცის მრუდსა და სრული თანასწორობის მრუდს შორის, ხოლო B წარმოადგენს ლორენცის მრუდის ქვემოთ არსებულ ფართობს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ჯინის კოეფიციენტს შემდეგი 6 მაჩვენებლისათვის ითვლის: მთლიანი შემოსავლები, მთლიანი ფულადი სახსრები, მთლიანი სახსრები, მთლიანი სამომხმარებლო ხარჯები, მთლიანი ფულადი ხარჯები და მთლიანი ხარჯები.